ფემიციდი საქართველოში: EHRAC-მა და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა

გამოქვეყნების თარიღი: 2017 წლის 20 სექტემბერი

"ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა" (EHRAC) პარტნიორ ორგანიზაციებთან, "საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" (საია) და კავშირ "საფართან" ერთად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოსა და გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტს (CEDAW) საქართველოში ფემიციდის სამ სხვადასხვა საქმესთან დაკავშირებით მიმართა. თითეულ საქმეში დაზარალებულმა ქალებმა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით პოლიციას არაერთხელ მიმართეს. ამის მიუხედავად, 2014 წელს სამივე შემთხვევა პარტნიორების მიერ მათი სიცოცხლის ხელყოფით დასრულდა. პოლიციამ და პროკურატურამ ვერც ერთხელ ვერ უზრუნველყო დამცავი თუ სადამსჯელო ზომების მიღება. შესაბამისად, სახელმწიფოს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს იმის გამო, რომ მან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ძალადობისაგან და საბოლოოდ, სიცოცხლის ხელყოფისაგან დაცვა ვერ შეძლო.

"ამ საქმეებში ნათლად ჩანს საქართველოში ქალების წინააღმდეგ ძალადობასთან დაკავშირებით სამართალდამცავი ორგანოების მიდგომაში არსებული ხარვეზები და ჩავარდნები. იმედი გვაქვს, რომ სახელმწიფოსათვის პასუხისმგებლობის დაკისრება ხელს შეუწყობს მტკიცე და სრულყოფილი საკანონმდებლო ჩარჩოს განხორციელებას საქართველოში ქალების წინააღმდეგ ძალადობასთან საბრძოლველად, რათა პოლიცია სერიოზულობით მოეკიდოს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მიღებულ შეტყობინებას მანამ, სანამ მოძალადის მიერ დაზარალებულის სიცოცხლის ხელყოფა მოხდება."

ჯეს გავრონი, EHRAC-ის იურიდიული დირექტორი

ბელა ძამსაშვილი

ბელა 2004 წელს გათხოვდა. 2007 წელს შვილის გაჩენის შემდეგ, ქმარმა მასზე ფიზიკური და სიტყვიერი ძალადობის განხორციელება დაიწყო, აკონტროლებდა მის საქციელს, აკრიტიკებდა მისი ცხოვრების სტილს. 2013 წელს ბელა ცალკე გადავიდა საცხოვრებლად, თუმცა ქმარი კვლავ აკითხავდა და ეჩხუბებოდა. ბელას გარდაცვალებამდე პოლიციაში ოთხჯერ შევიდა შეტყობინება მისი მეუღლის ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით. ერთ-ერთი შეტყობინება შეიტანა ექიმმა, რომელიც ბელას ქმართან მორიგი ჩხუბის შემდეგ მკურნალობდა. ბელას დასაცავად სამართალდამცავ ორგანოებს არანაირი ზომა არ მიუღიათ. საბოლოოდ, 2014 წლის მარტში, ბელას ქმარმა სამზარეულოს დანით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

"ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულმა ცენტრმა" პარტნიორ ორგანიზაციასთან, საია-სთან ერთად CEDAW კომიტეტს 2017 წლის სექტემბერში მიმართა საჩივრით, რომელშიც ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის დარღვევებზე მიუთითა (კონვენციის მე-2 მუხლის (b)-(f) პუნქტები, 1 მუხლთან და მე-5 მუხლის (a) პუნქტთან ერთობლიობაში). CEDAW კომიტეტის მიერ ცოტა ხნის წინ მიღებულ 35-ე ზოგად რეკომენდაციაზე დაყრდნობით, სარჩელში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ღრმად ფესვგადგმული პატრიარქალური მიდგომებისა და კულტურული სტერეოტიპების გამო, ოჯახში ძალადობა ბელას გარშემომყოფების მიერ, ასევე, იმ პოლიციელების მიერ,

რომლებიც მის შეტყობინებებზე ახდენდნენ რეაგირებას, პირად საკითხად აღიქმებოდა. ბელას მოუწოდებდნენ, ოჯახში ძალადობა მიეღო მისი, როგორც მეუღლის როლის შემადგენელ ნაწილად. CEDAW კომიტეტს გააჩნია მყარი სამართლებრივი პრაქტიკა იმ სოციალურ და კულტურულ სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებიც საფუძვლად უდევს გენდერულად მიკერძოებულ კანონებს, მარეგულირებელ წესებს, ჩვეულებასა და პრაქტიკას.

აღნიშნული რიგით მეორე საქმეა, რომელიც EHRAC -მა CEDAW კომიტეტში შეიტანა. 2015 წელს EHRAC-მ კომიტეტში საქართველოს წინააღმდეგ პირველი საქმე მოიგო. კერძოდ, საქმე X და Y საქართველოს წინააღმდეგ შეეხებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე დედა-შვილზე ფიზიკურ, სექსუალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. CEDAW კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში წარმოდგენილია რამდენიმე კონკრეტული ღონისძიება, რომელიც საქართველომ მომავალში მსგავსი ძალადობის თავიდან ასაცილებლად უნდა განახორციელოს, მათ შორისაა:
• შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ზომების მიღება;
• ქალთა უფლებების დასაცავად სამართლებრივი მექანიზმის შექმნა, მამაკაცებთან თანასწორობის საფუძველზე;
• ყველა სათანადო, მათ შორის საკანონმდებლო ზომის მიღება იმ არსებული კანონმდებლობის, მარეგულირებელი წესების, ჩვეულებისა და პრაქტიკის შეცვლის მიზნით, რომელიც ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციას უწყობს ხელს; და
• ყველა სათანადო ზომის მიღება კაცებისა და ქალების ქცევასთან დაკავშირებული სოციალური და კულტურული სტანდარტების შესაცვლელად.
აღნიშნული საქმე 2016 წელს Women's Link Worldwide-ის მიერ ნომინირებული იყო Gender Justice Uncovered-ის ჯილდოზე.

მარიკა წივწივაძე

ეჭვიანობის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მოხმარების ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის, ზეწოლისა და მუქარის გამო, მარიკამ მეუღლე 2014 წლის სექტემბერში მიატოვა. სიცოცხლის ბოლო თვეებში მან ექვსჯერ დარეკა პოლიციის ცხელ ხაზზე, რისი ჩანაწერიც არსებობს, ხოლო დედამისთან ერთად რამოდენიმეჯერ მიაკითხა პოლიციის სხვადასხვა განყოფილებას, რის შესახებაც ინფორმაცია ოფიციალურად არ დაფიქსირებულა. პოლიციას მარიკას მამამთილმაც მიმართა ერთხელ, საკუთარი შვილის მიერ განხორციელებული ძალადობის შეტყობინების მიზნით. პოლიცია ძალადობრივ შემთხვევებს სერიოზულად არც ერთხელ არ მოეკიდა. მათ მარიკასთვის არ ჩამოურთმევიათ დეტალური ჩვენება ინცინდენტების შესახებ, არ გამოუკითხავთ მარიკას მეგობრები, კოლეგები, ნათესავები, ან თუნდაც მეუღლე (გარდა ერთი შემთხვევისა). პოლიციის თანამშრომლები მხოლოდ დისკრიმინაციული მოწოდებებით შემოიფარგლნენ და მიანიშნებდნენ იმას, რომ მომხდარი პირად საქმეს წარმოადგენდა და პოლიციის გასარჩევი არ იყო. 2014 წლის ოქტომბერში, ქმარმა მარიკას ცეცხლსასროლი იარაღიდან სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა კოლეგების თვალწინ, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მარიკა ლექტორად მუშაობდა. შემდეგ მან შემთხვევის ადგილზე

იმავე იარაღით თავი მოიკლა. მარიკას მკვლელობა მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა.

განმცხადებლის, მარიკას დედის ინტერესებს წარმოადგენენ EHRAC და კავშირი "საფარი". ევროპულ სასამართლოში საჩივარი 2017 წლის აპრილში იქნა შეტანილი. საჩივრის თანახმად, ხელისუფლებამ არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება იმ საფრთხეების მიმართ, რომელიც მარიკას სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრებოდა და ვერ შეძლო მარიკას დაცვა, რითაც დაირღვა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები. საჩივარში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ხელისუფლებისა და პოლიციის თანამშრომლების საქციელი იყო გენდერულად დისკრიმინაციული, რაც ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას წარმოადგენს. საკითხის სიმწვავეს ადასტურებს ის ფაქტი, რომ საქმე სასამართლოში შეტანიდან ორი თვის შემდეგ გადაგზავნილი იქნა საქართველოს მთავრობასთან, რათა ამ უკანასკნელმა საკუთარი მოსაზრებები წარმოადგინოს.

სალომე ჯორბენაძე

სალომე ჯორბენაძე 20 წლის იყო, როდესაც მისმა ყოფილმა ქმარმა, პოლიციის თანამშრომელმა, ადგილობრივ პარკში 2014 წლის ივლისში სამსახურეობრივი იარაღით სიცოცხლეს გამოასალმა. სალომეს ქმარი ხშირად აგრესიულად ექცეოდა, ფიზიკურად და სიტყვიერად შეურაცხყოფდა. აღსანიშნავია, რომ სალომე ქმარმა 17 წლის ასაკში იარაღის მუქარით მოიტაცა. სალომემ ადგილობრივ პოლიციას არაერთხელ მიმართა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით, მაგრამ მისი შეტყობინებები არავის გამოუძიებია. ამის სანაცვლოდ, პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც სალომეს ქმრის მეგობრები და კოლეგები იყვნენ, სალომეს ამცირებდნენ და მისი საჩივრის მნიშვნელობას აკნინებდნენ; ისინი ირიბად მიუთითებდნენ, რომ ძალადობა ქორწინების ჩვეულებრივი შემადგენელი ნაწილი იყო.

EHRAC-მა საია-სთან ერთად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სარჩელი 2016 წლის სექტემბერში შეიტანა. სარჩელში მითითებულია, რომ მთავრობამ სალომეს წინააღმდეგ კონვენციის მე-2 მუხლი დაარღვია (სიცოცხლის უფლება). მან ვერ შეძლო ადექვატური საკანონმდებლო ჩარჩოს მიღება და განხორციელება პოლიციელის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებით, რის გამოც სალომეს ქმარს შეეძლო, ნებისმიერ დროს თან ჰქონოდა იარაღი მიუხედავად იმისა, რომ მის ძალადობრივ ქმედებებთან დაკავშირებით პოლიციაში არაერთი საჩივარი და შეტყობინება შევიდა. საჩივარში აგრეთვე აღნიშნულია, რომ ხელისუფლებამ არ გამოიჩინა სათანადო გულისხმიერება იმ საფრთხეების მიმართ, რომელიც სალომეს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრებოდა და ვერ დაიცვა იგი არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობისგან. პოლიციელები სალომეს საჩივარს სერიოზულად არ მოეკიდნენ, არამედ ისინი მოქმედებდნენ სალომეს ქმართან შეთანხმებულად და დამამცირებელი და დისკრიმინაციული ფრაზებით მიმართავდნენ სალომეს. სარჩელში აგრეთვე ამტკიცებს, რომ სალომე გენდერული დისკრიმინაციის მსხვერპლია (კონვენციის მე-14 მუხლი).